



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 350

ქალაქი ქუთაისი 25 იანვარი 2017 წელი

ააიპ „სპეციალური სერვისებისათვის“ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №101 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 24 იანვრის N5/3542, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 24 იანვრის №MIA 617 00180662 და ააიპ „სპეციალური სერვისების“ 2017 წლის 24 იანვრის №01-2/59 წერილობითი მომართვების საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ააიპ „სპეციალური სერვისებისათვის“ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №101 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების დანართიდან ამოღებულ იქნეს 142-ე პუნქტი მთლიანად (მერსედეს ბენცი სატვირთო სპრინტერი, სახელმწიფო ნომერი OBO-301, 1 ცალი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 6812).

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი